ახალციხის მუნიციპალიტეტის
საკონკურსო კომისიის სხდომის
ო ქ მ ი №3

ქ.ახალციხე

02 აპრილი 2013 წ
16:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

ოლეგი სანდროშვილი - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, სატენდერო კომისიის აპარატის ხელმძღვანელი, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

ბესიკ ბლიაძე - სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებელის დროებით მოვალეობის შემსრულებელი;

მალხაზი ასპანიძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომრის მოადგილე;

ავთანდილ თელიაშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის დროებით მოვალეობის შემსრულებელი;

გაგა ივანიძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;

მაკა სამსონიძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი;

მანანა ბალიაშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი –სახელმწიფო შესყიდვების საკითხებში;

თენგიზ ზედგინიძე- საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი;

ემზარ მღებრიშვილი- საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარები სამსახურის მთავარი სპეციალისტი არქმშენინსპექციის საკითხებში;

ბესარიონ მიქელაძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის წამყვანი სპეციალისტი მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის საკითხებში.

დღის წესრიგი:

ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ 2013 წლის 01 აპრილს გამოცხადებული „ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფლებში სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენაზე", კონკურსის №713 შეწყვეტა.

განხილვა:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ ოლეგი სანდროშვილმა საკონკურსო კომისიას მოახსენა , რომ სხდომას მდივნობას გაუწევს საკონკურსო კომისიის მდივანი მაკა სამსონიძე .

საკონკურსო კომისიის თავჯდომრის მოადგილემ ბესიკ ბლიაძემ საკონკურსო კომისიას მოახსენა, რომ საჭიროა „ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფლებში სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენაზე" გამოცხადებული კონკურსის შეწყვეტა, ვინაიდან 2013 წლის 07 თებერვლის საქართველოს მთავრობის №23 დადგენილების შესაბამისად საპროექტო ღირებულება დაფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების

ფონდიდან თვითმმართველი ერთეულისათვის თანხის გამოყოფის შესახებ საქართველოს მთავრობის განკარგულების გამოცემის შემდგომ, კომისიამ მხარი დაუჭირა აღნიშნულ სახელმწიფო შესყიდვის შეწყვეტის პროცედურას.

საკონკურსო კომისიამ დაადგინა:

1. 2013 წლის 01 აპრილს გამოცხადებული „ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფლებში სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენაზე" კონკურსი №713 შეწყდეს.
2. დაევალოს საკონკურსო კომისიას მოახდინოს აღნიშნული საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის გაგზავნა კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ გვერდზე (ელექტრონული ფოსტაზე contest@procurement.gov.ge)გამოქვეყნების მიზნით, რათა კონკურსს მიენიჭოს სტატუსი -„კონკურსი შეწყვეტილია" .

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე	ო. სადროშვილი
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე	ბ. ბლიაძე
საკონკურსო კომისის მდივანი	მ. სამსონიძე
საკონკურსო კომისიის წევრები	მ. ასპანიძე
	ა. თელიაშვილი
	გ. ივანიძე
	თ. ზედგინიძე
	მ. ბალიაშვილი
	ე. მღებრიშვილი
	ბ. მიქელაძე